ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–71

ქ. თბილისი; 18 ნოემბერი, 2020 წ. 13:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

თინათინ ნიბლოშვილი
გიორგი ჩაკვეტაძე
ავთანდილ ცინცაძე
ნინო რუხაძე

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი – **გაიოზ თალაკვაძე**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე – **ლევან მიქავა**

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი“ რეგისტრაციის თაობაზე“ საკითხი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის **საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომაზე დასწრე წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა მოხსენების დასაწყისში ხაზი გაუსვა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის განსახილველი დადგენილების პროექტის მნიშვნელობას და კომისიის წევრებს აცნობა, რომ განხილვისა და დამტკიცების მიზნით, წარმოდგენილი პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის მთლიან მოცულობად განსაზღვრავს – 840 302,5 ათას (რვაას ორმოცი მილიონ სამასორი ათას ხუთასი) ლარს.

გაიოზ თალაკვაძემ ისაუბრა, 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით, დედაქალაქისათვის პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, აგრეთვე, მათ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებისა და დასაფინანსებლად გათვალისწინებული შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების ოდენობის შესახებ.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის თანახმად, ერთ–ერთ პრიორიტეტად გათვალისწინებულ იქნა **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა, რითვისაც განსაზღვრული საბიუჯეტო ასიგნების ოდენობა შეადგენს – 72 223,2 ათასი ლარს** (სამოცდათორმეტი მილიონ ორას ოცდასამი ათას ორასი). გაიოზმა აგრეთვე დაამატა, რომ მოცემულ პრიორიტეტში, **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის** გათვალისწინებულია – 62 064,7 ათასი (სამოცდაორი მილიონ სამოცდაოთხი ათას შვიდასი) ლარი, მათ შორის:

- **რაიონებში გზების მოვლა-შეკეთების** ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 41 697,4 ათასი (ორმოცდაერთი მილიონ ექვსას ოთხმოცდაჩვიდმეტი ათასი ოთხასი) ლარი.

- **ტრანსპორტის განვითარების პროგრამა** - 10 158,5 ათასი (ათი მილიონ ას ორმოცდათვრამეტი ათას ხუთასი) ლარი.

გაიოზ თალაკვაძემ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებად ასევე დაასახელა, ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება, რითვისაც გათვალისწინებულ იქნა საბიუჯეტო ასიგნება – 140 088,3 (ასორმოცი მილიონ ოთხმოცდარვა ათას სამასი) ათასი ლარი.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ „ქალაქის განვითარების ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, საბიუჯეტო ასიგნებით – 34.337.2 ათასი (ოცდათოთმეტი მილიონ სამას ოცდაჩვიდმეტი ათასი ორასი) ლარის ოდენობით, გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა, ისტორიულ - კულტურული ძეგლების, სადარბაზოებისა, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია.

ბატონმა გაიოზმა აგრეთვე მიუთითა, რომ პრიორიტეტის ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი მნიშვნელოვანი ღონისძიებები:

- **ავარიული შენობების გამაგრება** 10 000,0 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია სავარაუდოდ 22 შენობის გამაგრება;
- **საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია** (9 290,6 ათასი ლარი), მათ შორის გრძელდება შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლის გამაგრების მშენებლობის სამუშაოები, კახეთის გზატკეცილის მე-12 კმ-ის გადასახვევზე მდებარე გზაგამტარის სარეაბილიტაციო სამუშაოები და მზიურის პარკში მდებარე საბაგირო გზის სადგურის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოები.
- პროგრამა - **გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია** (22 000,0 ათასი ლარი), რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის მასშტაბით გარე ქსელის განვითარება 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით.
- ქვეპროგრამისათვის - **კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში** გათვალისწინებულია 41 659.6 ათასი ლარი.

მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ გარდა ზემოაღნიშნულისა, პრიორიტეტულ მიმართულებებად განსაზღვრულ იქნა შემდეგი:

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება,** საბიუჯეტო ასიგნებით – 106 218,4 ათასი ლარის ოდენობით;
- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა** – საბიუჯეტო ასიგნების – 4 164,4 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებში გრძელდება პროგრამები ბიზნესის სტიმულირება,

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია და სხვ;

- **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება,** რომელიც წინა წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია და განისაზღვრა - **39 157,3** ათასი ლარით;

მომხსენებელმა განსაკუთრებულად დაახასიათა ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული შემდეგი პრიორიტეტი – ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებით – 164 376,9 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც, **ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 20 019,3 ათასი ლარი,** მათ შორის გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება:

- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცის ქვეპროგრამის გაგრძელება; ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების;
- დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში გამოკვლევების და ტრანსპლანტაციის დაფინანსება.

მომხსენებელმა ასევე დასძინა, რომ სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 144 357,7 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურება. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა დაგეგმილია 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 815,1 ათასი ლარით.

გაიოზ თალაკვაძემ, ბიუჯეტის პრიორიტეტულ მიმართულებებად, გარდა ზემომითითებულისა, ასევე დაასახელა შემდეგი:

- **განათლება – საბიუჯეტო ასიგნებით** – 162 919,0 ათასი ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას, რომელიც განსაზღვრულია 138 991,9 ათასი ლარის ოდენობით, გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: 2 ახალი საბავშვო ბაღის დასრულება და 5 ავარიული საბავშვო ბაღის შენობის დემონტაჟი, მშენებლობა და გამაგრება.
- **კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა** – საბიუჯეტო ასიგნებით – 38 814,5 ათასი ლარის ოდენობით;

- **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** – საბიუჯეტო ასიგნებით – 4 402,3 ათასი ლარის ოდენობით;
- **ქალაქ თბილისის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებისათვის** განსაზღვრულია საბიუჯეტო ასიგნება – 107 938,3 ათასი ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა, გარდა ბიუჯეტის პრიორიტეტების დასახელებისა და აღწერისა, კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით განსაზღვრული, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდისათვის გამოყოფილ ასიგნებაზე, რაც შეადგენს – 2 500,0 ათასი ლარს, აგრეთვე, „წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი"–ისათვის - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებების შესახებ.

მომხსენებელმა დაამატა, რომ პროექტით ასევე, გათვალისწინებულია, „წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა", მათ შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება" - 16 444,4 ათასი ლარი, „თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება"– 614,2 ათასი ლარი, „თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება" II ფაზა - 3 200,0 ათასი ლარი და „თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება" - 3 000,0 ათასი ლარი.

მოხსენების დასასრულს, გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ 2019 წლიდან ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტად დასახული იქნა გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირება, რამაც, ხელი შეუწყო გენდერული საკითხების ინტეგრირებას ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამებში, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას.

აზრი გამოთქვეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ისაუბრა COVID-19-ით ქვეყანაში, მათ შორის დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშრებით, რამაც გავლენა მოახდინა მათ შორის თბილისის ბიუჯეტზეც და შეკითხვა დაუსვა მომხსენებელს სპეციალურ ტრანსფერებთან დაკავშირებით, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს გარკვეული პროექტების გაგრძელება, ასევე სხვადასხვა ხარჯების დაფინანსება.

სპეციალურ ტრანსფერთან დაკავშირებით შეკითხვა დასვა ასევე კომისიის წევრმა გიორგი ჩაკვეტაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამ დროისთვის განსაზღვრული არ არის რა ოდენობის ტრანსფერს მიიღებს დედაქალქი, მაგრამ მიმდინარეობს მოლაპარაკება, რომ გარკვეულწილად ტრანსფერმა დააბალანოს ბიუჯეტთან მიმართებაში პანდემიით გამოწვეული შემცირება.

კომისიის წევრმა და ამავდროულად საბურთალოს მაჟორიტარმა დეპუტატმა შეკითხვა დასვა რაიონებისადმი თანხების განაწილების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ძირითადად განაწილება ხდება წინა წლის შერულებებისა და გამგეობების მიერ მოწოდებული ინფორმაციების შესაბამისად.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის **თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია,** საქართველოს კანონის ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი" 96-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის განმარტებით ბარათში მითითებულ იქნას ინფორმაცია ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასებასთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით დასკვნა შესაბამისი შენიშვნით წარედგინოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს:

2. იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი" რეგისტრაციის თაობაზე" საკითხი.**

ბატონმა ლევანმა კომისიის წევრებს შეახსენა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის **N2-1 დადგენილების 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პროცედურული საკითხი,** რომლის თანახმადაც, ფრაქციის რეგისტრაციისათვის, ფრაქციის შექმნიდან ერთი კვირის ვადაში ფრაქციის თავმჯდომარე მიმართავს საკრებულოს თავმჯდომარეს განცხადებით, რომელშიც მითითებულია ფრაქციის ოფიციალური სახელწოდება, მისი თავმჯდომარის, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის (მოადგილეების), მდივნის და წევრთა ვინაობა. განცხადებას ერთვის ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა და

ფრაქციის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი წესდება. **საკრებულოს თავმჯდომარე ფრაქციის რეგისტრაციისათვის შემოსულ მასალებს დაუყოვნებლივ გადასცემს იურიდიულ საკითხთა კომისიას, რომელიც თავის დასკვნას წარუდგენს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე.**

კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზემოაღნიშნული ნორმატიულ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროცედურული დანაწესის შესრულების უზრუნველსაყოფად, მ/წლის 9 ნოემბერს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის რეზოლუციით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში შემოვიდა საკრებულოს წევრის ზაზა მამალაძის N03-032031425 განცხადება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „თბილისი"-ს შექმნის თაობაზე".

კომისიის თავმჯდომარემ განაგრძო მოხსენება და მიუთითა, რომ ფრაქციის შექმნის თაობაზე ზემოაღნიშნულ წერილს თან ერთვის ფრაქციის „თბილისი"-ს წესდება, პოლიტიკური პლატფორმა და ამავე ფრაქციის სადამფუძნებლო სხდომის ოქმი, რომლის თანახმად, ფრაქციაში „თბილისი" გაერთიანდენენ საკრებულოს წევრები: **ზაზა მამალაძე, ვაჟა ოთარაშვილი** და **ჯაბა ჯიშკარიანი.** ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზაზა მამალაძე, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილედ - ჯაბა ჯიშკარიანი, ხოლო ფრაქციის მდივნად - ვაჟა ოთარაშვილი.

ლევან ჟორჟოლიანმა ასევე ისაუბრა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 30-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული მოთხოვნების შესახებ და აღნიშნა, რომ ფრაქციის შექმნის მსურველი მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები შეიმუშავებენ ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმასა და წესდებას. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა გაერთიანება ფრაქციის სტატუსს იძენს რეგისტრაციის მომენტიდან. ფრაქციის შექმნისა და საქმიანობის წესები და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა, საკითხის შესწავლის შედეგად, ერთხმად გადაწყვიტეს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის **N2-1 დადგენილების 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პროცედურები დაცულია,** ფრაქციის მიერ რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი მასალები შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და **ფრაქცია „თბილისი" უნდა გატარდეს რეგისტრაციაში.**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე	ლევან ჟორჟოლიანი
სხდომის მდივანი	თამთა კაკოიშვილი